სეზონში მესამე შეხვედრა

ბაქო. ვ. ი. ლენინის სახ. რესპუბლიკური სტადიონი. 23 აგვისტო.

“ნეფთჩი” (ბაქო) – “დინამო” (თბილისი) 1:2 (0:1).

“ნეფთჩი”: კრამარენკო, გარიბოვი, ოგერჩუკი, უზბეკოვი, ნამაზოვი, ისმაილოვი, აბდულაევი (რახმანოვი), ნურმამედოვი, ალიევი (ახანოვი), საპოჟნიკოვი, ჯავალოვი.

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კაკილაშვილი (მინაშვილი), გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი (შენგელია).

მსაჯი: გ. გალიკოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები – 3:2.

მოხდა ისე, რომ თბილისის “დინამოს” წლეულს სამჯერ მოუწია ოფიციალურ ტურნირებში შეხვედრამ ბაქოს “ნეფთჩისთან”. საკავშირო ჩემპიონატის 1 წრეში თბილისელებმა თავიანთ მინდორზე ვერაფრით ვერ დაძლიეს ბაქოელთა წინააღმდეგობა და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ – 1:1, მერე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდებმა (ეს ისევ თბილისის “დინამო” და ბაქოს “ნეფთჩია”) კვლავ თანაბრად გაიყვეს ქულები – 0:0. და ახლა ჩემპიონატის II წრეში, ბაქოელებმა საკუთარ მინდორზე მიიღეს დინამოელები.

თბილისელებს კვლავ დასჭირდათ შემადგენლობის გადახალისება მოთამაშეთა ტრავმების, აგრეთვე, ვ. ქორიძის მიერ წინა მატჩში მეორედ მიღებული გაფრთხილების გამო, ბაქოს “ნეფთჩის” მწვრთნელებმა კი, ძირითადად ტაქტიკური მოსაზრებით, თითქმის ნახევარი გუნდი შეცვალეს.

მას შემდეგ, რაც მასპინძლებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს პირველ წუთებზე, “დინამომ” თანდათან, მეთოდურად გადაიყვანა თამაში წინა ხაზზე, სადაც პარტნიორთა ურთიერთმოქმედებას შესანიშნავად ხელმძღვანელობდა ყიფიანი, მარჯვენა ფლანგზე სისტემატურად არღვევდა მეტოქეთა რიგებს გუცაევი, შუა მინდორზე, როგორც ყოველთვის, დიდ სამუშაოს ეწეოდა მ. მაჩაიძე, ლიდერების აქტიურობას მხარი აუბეს დანარჩენმა დინამოელებმაც და “ნეფთჩის” დაცვას საკმაო ხნით მძიმე დატვირთვა დააწვა. რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია მეკარე კრამარენკომ, 30–ე წუთზე კი მასპინძლებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და გაბელიამ მოიგერია მასთან პირისპირ გასული ალიევის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი.

ტაიმი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ბაქოელთა კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა. ყიფიანმა 41–ე წუთზე გარღვევაზე გაიყვანა მ. მაჩაიძე, რომელმაც ზუსტად, ოსტატურად გამოიყენა ხელსაყრელი მდგომარეობა – 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბაქოელებმა კვლავ შექმნეს სახიფათო მომენტები მოპირდაპირე კართან (ისმაილოვი, ჯავადოვი), შემდეგ კრამარენკომ აიღო კაკილაშვილის დარტყმა. მალე ჭილაიამ ვერ შეძლო უაღრესად ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენება და ამ ორმხრივ ბრძოლაში 65–ე წუთზე, დინამოელთა კარში 11–მეტრიანი დაინიშნა. ჯავადოვის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის. რახმანოვმა კარგად გამოიყენა პენალტი – 1:1.

თბილისელები, რომლებისთვისაც ფრე ახლა დამარცხებას უდრის (მათ 8 საყაიმო მატჩი აქვთ ნათამაშები), გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. მათი

თავდამსხმელები სულ უფრო ხშირად გადიოდნენ “ნეფთჩის” საჯარიმო მოედანზე და ერთ–ერთი ასეთი გარღვევის დროს მცველებმა აკრძალული ხერხით წააქციეს გუცაევი. პენალტის დარტყმა ამ კრიტიკულ ვითარებაში იკისრა ჩივაძემ და უნაკლოდაც შეასრულა იგი – 2:1.

ეს მოხდა 77–ე წუთზე, დარჩენილ მცირე დროში კი სულაქველიძეს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ბურთი აცდა მიზანს.

თბილისის “დინამომ” საუკეთესოდ ჩაატარა ეს საპასუხისმგებლო მატჩი და ორი ქულა ჩაიწერა აქტივში.

“ლელო”, 25 აგვისტო, 1979 წ.